

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერს“ შორის 2009 წლის 14 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის შესახებ

წარმოდგენილი შეთანხმება დადებულია 2012 წლის 25 ივნისს („ძალაში შესვლის თარიღი“)

ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში “მთავრობა”), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის მიერ,

მეორეს მხრივ, შპს “ბახვი ჰაიდრო პაუერი”, რომლის იურიდიული მისამართია საქართველო, 0186 თბილისი, სანდრო ეულის ქ. #1 (შემდგომში „კომპანია“), წარმოდგენილი რწმუნებულის, ივანე ლომაძის მიერ,

და

მესამეს მხრივ, სს “ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი”, (შემდგომში “ესკო”) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ირინა მილორაძის მიერ,

დებენ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

ვინაიდან:

საქართველოს მთავრობასა და შპს “ბახვი ჰაიდრო პაუერს” შორის 2009 წლის 14 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის (შემდგომში „მემორანდუმი“) საფუძველზე შპს “ბახვი ჰაიდრო პაუერის” მიერ ხორციელდება ოპერაციის მუნიციპალიტეტში, 6 მგვტ სიმძლავრის ბახვი 3 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

მიმდინარე წლის 30 აპრილს შპს “ბახვი ჰაიდრო პაუერმა” მომართა საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და ითხოვა მემორანდუმში ცვლილებების შეტანა, რომლითაც მემორანდუმს მხარედ დაემატება სს “ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი”, რომელიც უზრუნველყოფს ბახვი 3 ჰესის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის ნაწილის შესყიდვას,

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1.

მემორანდუმში შეტანილ იქნეს ცვლილება და 3.4 და 3.5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“3.4 3.3. პუნქტის მიზნისთვის, ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, თითოეული წლის ზამთრის პერიოდში 3.3. პუნქტში მითითებული 3 თვის განმავლობაში ელექტროენერჯის რეალიზაცია, შესაბამისი პირის არჩევანით, განხორციელდება საქართველოში არსებულ ნებისმიერ მყიდველზე თავისუფალი (დერეგულირებული) ტარიფით, ან/და ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორთან (ესკო) წინასწარ გაფორმებული გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით, რომელშიც ტარიფი განისაზღვრება 5,5 აშშ ცენტის ოდენობით. ამასთან, ზემოაღნიშნული 10 წლის განმავლობაში 3.3

პუნქტით გათვალისწინებული თვეების გარდა, დამატებით სამი თვის განმავლობაში, კერძოდ ნოემბერში, მარტში და აპრილში კომპანია უფლებამოსილია, განახორციელოს ობიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული რეალიზაცია (ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსის შესაბამისად) ესკო-სთან წინასწარ გაფორმებული გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით, რომელშიც ტარიფი განისაზღვრება აგრეთვე 5,5 აშშ ცენტის ოდენობით.

3.5. წინამდებარე მემორანდუმის 3.3. პუნქტში აღნიშნულ პერიოდში კომპანიის მიერ ობიექტზე გამომუშავებული ელექტროენერჯია არ იქნება დისპეტჩირებული ექსპორტზე და რეალიზებული იქნება 3.3. პუნქტის შესაბამისად, ხოლო წლის სხვა დანარჩენ პერიოდში კომპანია თავისუფალია როგორც ბაზრის (ადგილობრივი/ექსპორტი), ასევე ელექტროენერჯის მყიდველის არჩევაში და გასაყიდი ელექტროენერჯის ფასის განსაზღვრაში, გარდა 3.4 პუნქტის შესაბამისად, ელექტროენერჯის ესკო-ზე რეალიზების შემთხვევისა.

მუხლი 2.

წინამდებარე შეთანხმებას დადების დღიდან სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ უერთდება მემორანდუმს და წარმოადგენს მის ერთ-ერთ მხარეს.

მუხლი 3.


მემორანდუმის სხვა დანარჩენი პირობები უცვლელია და ინარჩუნებს სრულ იურიდიულ ძალას.

მუხლი 4.

წინამდებარე შეთანხმება დადებულია ქართულ ენაზე და წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს, ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მემორანდუმთან ერთად.

ხელისმოწერნი:

საქართველოს მთავრობა



შპს „ბაზვი ჰაიდრო ენერჯი“



სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

